ადრესატი:

ლევან ზოიძე
ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

ფატი ჯინჭარაძე
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური-სამსახურის უფროსი

წერილის ნომერი:**02-11422318173**
თარიღი: **14/11/2022**

ბატონო ლევან,

წარმოგიდგენთ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის 2023 წლის პროგრამების პროექტებს:

· „იშვიათი დაავადების მქონე პირთა დახმარება“ - ქვეპროგრამით გათვალისწინებული ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწევა 18 წლის ზემოთ ასაკის ფენილკეტონურიით დაავადებულ 2 ბენეფიციარს 2000 ლარის ოდენობით, 18 წლამდე ასაკის ფენილკეტონურიით დაავადებულ 4 ბენეფიციარს 1000 ლარის ოდენობით, გლუტეინის ავადმყოფობით, ცელიაკიით დაავადებულ 6 ბენეფიციარს 500 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამის ბიუჯეტია 11 000 ლარი.

· „თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის“ - ქვეპროგრამა ითვალისწინებს ერთი მობილური გუნდის დაფინანსებას თვის განმავლობაში 50 პაციენტის ადგილზე მომსახურებით. გუნდის მუშაობა ითვალისწინებს ბინაზე ვიზიტსა და მედიკამენტოზურ მკურნალობას საქართველოში რეგისტრირებული, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული და ნეიროლეფსიური საშუალებებით, რომელსაც გამოიყენებს მობილური გუნდის ფსიქიატრი, კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შესაბამისად.

2022წელს ქვეპროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 88 800 ლარს.

2022 წლის „ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 იანვრის N14 დადგენილებით მობილური გუნდის მომსახურება განისაზღვრა 93 600 ლარით (თვეში 7800 ლარი).

აღნიშნულის გათვალისწინებით, 2023 წლისთვის ქვეპროგრამის ბიუჯეტია 93 600 ლარი.

· „სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება“-ის ქვეპროგრამა ითვალისწინებს მოწყვლადი სოციალური კატეგორიის ბენეფიციარებისათვის იმ სამედიცინო მომსახურების დაფინანსებას, რომელიც ნაწილობრივ ან არ ფინანსდება მოქმედი სახელმწიფო ან/და აჭარის არ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამებით. ქვეპროგრამის ბიუჯეტია 480 000 ლარი.

· ა(ა)იპ ,,ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრი".

ა(ა)იპ ,,ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრი" ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებებს:

1. პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობა: ამბულატორიის მედპერსონალის

უზრუნველყოფა სატრანსპორტო საშუალებით- მაღალი გამავლობის ავტომანქანით;

2. ადგილზე ექიმამდელი სამედიცინო დახმარების ორგანიზება: მოსახლეობისათვის დროული სამედიცინო მომსახურების მიწოდების მიზნით ადგილზე ექიმამდელი სამედიცინო დახმარების ორგანიზება და პირველადი დახმარების მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

3. მოწყვლადი კატეგორიის ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერა:

ა) 0-დან 150 000-ს ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მძიმე და ღრმა შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირთა და ასევე 0-დან 150 000-ს ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მხცოვანი (80 წლის და მეტი) მწოლიარე ბენეფიციარების უზრუნველყოფას მოვლის საშუალებებით;

ბ) მგრძნობელობის დაქვეითების მქონე მძიმე და ღრმა შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირთა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფას; კერძოდ, ნაწოლებისაგან დამცავი ბალიშით, რომელიც ,,ტეტრაპარეზი"-ს, მგრძნობელობის დაქვეითების მქონე შშმ პირებს დაიცავს ნაწოლების გაჩენისაგან.

გ) სოციალურად დაუცველ ოჯახებში - 0-დან 150 000-ს ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე - შვილის დაბადებისას, ბავშვის უზრუნველყოფას ერთი წლის ასაკამდე მოვლის საშუალებებით ან/და ბავშვთა კვებით.

სულ ა(ა)იპ ,,ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრი"-ს ბიუჯეტია 897 155 ლარი.

· „მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურეობა გაეწევა ქობულეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ საქართველოს შემდეგ მოქალაქეებს: სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს; ომის ვეტერანებს; ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებს (დედა, მამა, მეუღლე, შვილები); მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 5 და მეტი შვილი) ოჯახის წევრებს; მარტოხელა მშობლებს და მათ შვილებს და მარტოხელა ასაკით პენსიონერებს. აღნიშნული ბენეფიციარები წელიწადში ერთხელ ოჯახზე მიიღებენ 200 ლარიან დახმარებას მედიკამენტების ვაუჩერის სახით.

2022 წელთან შედარებით ქვეპროგრამის ბენეფიციართა რიცხვი გაიზარდა 3200-დან 3500- მდე, შესაბამისად, 2023 წლისთვის გაიზარდა ქვეპროგრამის ბიუჯეტიც და გახდა 700 000 ლარი.

· „ომის მონაწილეებზე და დაღუპულთა ოჯახის წევრებზე სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება“ - ქვეპროგრამა ითვალისწინებს სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა უკდავყოფას, სადღესასწაულო დღეების ორგანიზებას.

· 2023 წლისთვის II მსოფლიო ომში დაღუპულ ოჯახის წევრ მეუღლეზე 9 მაისთან დაკავშირებით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაინვალიდებულთა და ამავე ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებზე 27 სექტემბერთან დაკავშირებით, 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების ოჯახებზე, 2008 წლის რუსული აგრესიის დროს დაზიანების შედეგად შშმ პირებზე, ავღანეთში საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მეომრების ოჯახებზე ერთჯერადი

მატერიალური დახმარება გაიზარდა 500 ლარამდე (იყო ქვრივებზე 200 ლარი, ხოლო დანარჩენზე 300 ლარი). შესაბამისად, ქვეპროგრამის ბიუჯეტი გაიზარდა 21 480 ლარამდე.

· „დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური მატერიალური დახმარება“ - ქვეპროგრამა ითვალისწინებს 8 დედ-მამით ობოლი ბავშვის ყოველთვიურ მატერიალურ დახმამარებას 100 ლარის ოდენობით. 2022 წელს ქვეპროგრამით სარგებლობს 7 ბენეფიციარი, მიმდინარე წლის ნოემბერში დაგვემატა 1 დედ-მამით ობოლი ბავშვი 2023 წლისთვის ქვეპროგრამის ბიუჯეტია 8 000 ლარი.

· „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება“ ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების დროებითი უსაფრთხო თავშესაფარით უზრუნველყოფის მიზნით ფინანსურ დახმარებას. 2023 წლისათვის **დროებითი უსაფრთხო თავშესაფარით უზრუნველყოფის მიზნით ფინანსურ დახმარების ოდენობა გაიზარდა** 400 ლარამდე, ხოლო 8 და მეტ სულიანი ოჯახებისთვის 500 ლარამდე. ქვეპროგრამის ბიუჯეტია 850 000 ლარი.

· „მუნიციპალური უფასო სასადილო“ - ქვეპროგრამა ითვალისწინებს მოსახლეობის გარკვეული სოციალური კატეგორიის (სოციალურად დაუცველი ფენის- სარეიტინგო ქულა 0-დან 100 001-მდე, მარტოხელა პენსიონერი, დედ-მამითობოლი ბავშვი, უსახლკარო, შშმ პირი, მარჩენალდაკარგული, მრავალშვილიანი) ბენეფიციარის უზრუნველყოფას კვირაში 7 დღე ცხელი საკვებით. **2022 წელთან შედარებით, პროგრამის ბენეფიციართა რიცხვი გაიზარდა 50-ით. 2023 წელს ქვეპროგრამაში ჩართული იქნება 370 ბენეფიციარი.** ქვეპროგრამის ბიუჯეტია 325 000 ლარი.

· „ცალკეული სოციალური კატეგორიის ოჯახების გაზიფიცირება“ - ქვეპროგრამა ითვალისწინებს ცალკეული სოციალური ჯგუფების ოჯახების გაზიფიცირებას - ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო ღირებულების დაფინანსებას ერთი წერტილის გათვალისწინებით (გაზქურამდე) არაუმეტეს 400 (ოთხასი) ლარით. 2022 წლისთვის ბენეფიციართა წრე გაფართოვდა, ქვეპროგრამით ისარგებლებენ სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში 0-დან 100 001-მდე სარეიტინგო ქულით დარეგისტრირებული ოჯახები, 0-დან 200 001 ქულამდე ომის ვეტერანები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული საომარი მოქმედებების შედეგად დაღუპული მეომრების ოჯახები და ასევე 0-დან 200 001 ქულამდე შშმ პირების ოჯახები. ქვეპროგრამის ბიუჯეტია 30 000 ლარი.

· „მესამე და მომდევნო ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება“ - ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტისტერიტორიაზე დემოგრაფიული ფონის გაჯანსღებისათვის მიმართული აქციებისგანხორციელებას, სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში 0-დან 200 000 ქულის ჩათვლით დარეგისტრირებული ოჯახებზე მე-3, მე-4, მე-5 და მომდევნო შვილის დაბადებისას მატერიალური დახმარების გაწევას. მე-3 შვილის დაბადებისას 600 ლარი, მე-4 შვილის დაბადებისას 800 ლარი, მე-5 და მომდევნო შვილის დაბადებისას 1000 ლარი. ქვეპროგრამის ბიუჯეტია 50 000 ლარი.

· „მარტოხელა მშობლების ყოველთვიური მატერიალური დახმარების“ ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 0-დან 200 001-მდე ქულის მქონე მარტოხელა მშობლების მატერიალურ დახმამარებას თითოეულ ბავშვზე (სავარაუდოდ 50 ბენეფიციარი) თვეში 100 ლარის ოდენობით, მათთვის მატერიალური და მორალური მხარდაჭერისათვის, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში აღნიშნული კატეგორიის ბენეფიციარებს არ აქვს ელემენტარული სახსრები რაც ესაჭიროებათ ბავშვების

ზრდისა და განვითარებისთვის. ქვეპროგრამის ბიუჯეტია 55 500 ლარი.

- „გარდაცვლილის ოჯახზე ერთჯერადი დახმარება“- ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველ პირთა (სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში 0-დან 100 001 -მდე სარეიტინგო ქულის მქონე) გარდაცვალების შემთხვევაში მათ ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევას 400 ლარის ოდენობით.

  ქვეპროგრამაში ასევე, გათვალისწინებულია უპატრონო გარდაცვლილი მოქალაქეები, რომლების დასაკრძალვა ხშირ შემთხვევებში ქმნის სერიოზულ პრობლემას. ქვეპროგრამის ბიუჯეტია 40 000 ლარი.

- „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება“ - ქვეპროგრამა ითვალისწინებს:

  1. ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 5 და მეტ მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადად მატერიალურ დახმარებას, 35 ოჯახზე 1000 ლარის ოდენობით.

  2. ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 4 მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები), რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში 0-დან 65 001-მდე სარეიტინგო ქულით ერთჯერადად მატერიალურ დახმარებას (60 ოჯახზე) 500 ლარის ოდენობით.

  ქვეპროგრამის ბიუჯეტია 65 000 ლარი.

- „დიალიზის ცენტრის პაციენტების და ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაციის/ რეაბილიტაციის პროგრამის ბენეფიციართა მატერიალური დახმარება“- ქვეპროგრამა ითვალისწინებს :

  თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი მოქალაქეების ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე დიალიზის ცენტრებამდე ტრანსპორტირების ყოველთვიური ხარჯების დაფინანსებას 60 ლარით, ხოლო ქობულეთის მუნიციპალიტეტის საზღვრებს გარეთ მდებარე დიალიზის ცენტრებამდე 120 ლარით;

  2023 წლისათვის შეიცვალა ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია /რეაბილიტაციის პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების დახმარების წესი. კერძოდ, 0-დან 200 000 ქულის ჩათვლით ბენეფიციარებს გაეწევათ ერთჯერადი დახმარება 500 ლარის ოდენობით.

  ქვეპროგრამის ბიუჯეტია 110 000 ლარი.

- „მოწყვლადი კატეგორიის ოჯახებისათვის მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა“. ქვეპროგრამა ითვალისწინებს მოწყვლადი ოჯახებისათვის, რომელთა საცხოვრებელი სახლი ამორტიზირებულია, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს/ პირის მიერ გაცემული დასკვნის თანახმად, არ ექვემდებარება აღდგენა-რეაბილიტაციას, მცირე ფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობას. ქვეპროგრამის ბიუჯეტია 260 000 ლარი.

გთხოვთ, განიხილოთ და გადააგზავნოთ საკრებულოში.

პროგრამების პროექტები თან ერთვის.

ხათუნა მამასახლისი

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური-სამსახურის უფროსი